

არაოფიციალური თარგმანი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის  
დირექტივა 2014/35EU

განსაზღვრული ვოლტაჟის ლიმიტების ფარგლებში გამოყენებისათვის შექმნილი  
ელექტრომოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით წევრ  
სახელმწიფოთა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ

(ახალი რედაქციით)

(ტექსტი შესაბამისობაშია ევროპის ეკონომიკური სივრცის EEA მოთხოვნებთან)

ევროპის პარლამენტის და ევროპის  
კავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კავშირის  
ფუნქციონირების შესახებ  
ხელშეკრულებას, კერძოდ, 114-ე მუხლს,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კომისიის  
წინადადებას,

ეროვნული პარლამენტებისათვის  
საკანონმდებლო აქტის პროექტის  
წარდგენის შემდეგ,

ითვალისწინებენ რა, ევროპის  
ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის  
დასკვნას<sup>(1)</sup>,

მოქმედებენ რა ჩვეულებრივი  
საკანონმდებლო პროცედურის  
შესაბამისად<sup>(2)</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ:

(1) OJ C 181, 21.6.2012, გვ. 105

(<sup>2</sup>) ევროპის პარლამენტის 2014 წლის 5  
თებერვლის პოზიცია (არ არის ჯერ  
გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში) და  
საბჭოს 2014 წლის 20 თებერვლის  
გადაწყვეტილება.

(1) მთელი რიგი შესწორებები უნდა  
იქნას შეტანილი ევროპის  
პარლამენტისა და საბჭოს 2006  
წლის 12 დეკემბრის დირექტივაში  
2006/95/EC განსაზღვრული ძაბვის  
ლიმიტების ფარგლებში  
გამოყენებისათვის შექმნილი  
ელექტრო მოწყობილობების  
ბაზარზე ხელმისაწვდომობასთან  
დაკავშირებით წევრ  
სახელმწიფოთა კანონმდებლობის  
ჰარმონიზაციის შესახებ<sup>(3)</sup>.  
სიცხადის მიზნით, ხსენებული  
დირექტივა უნდა შესწორდეს.

(2) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს  
2008 წლის 9 ივლისის  
დადგენილება (EC) N765/2008,  
რომელიც ადგენს პროდუქციის

(<sup>3</sup>) OJ L 374, 27.12.2006, გვ. 10. დირექტივა  
2006/95/EC არის განსაზღვრული ვოლტაჟის  
ლიმიტების ფარგლებში გამოყენებისათვის  
შექმნილი ელექტრო მოწყობილობების  
ბაზარზე ხელმისაწვდომობასთან  
დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა  
კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ  
საბჭოს 1973 წლის 19 თებერვლის დირექტივის  
73/23/EEC კოდიფიკაცია (OJ L 77, 26.3.1973, გვ.  
29).

- მარკეტინგთან დაკავშირებით აკრედიტაციისა და საბაზრო ზედამხედველობის მოთხოვნებს<sup>(1)</sup>, აყალიბებს წესებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციის შესახებ, ითვალისწინებს პროდუქციის ბაზრის ზედამხედველობისა და მესამე ქვეყნებიდან პროდუქციაზე კონტროლის ფარგლებს და ადგენს CE მარკირების ზოგად პრინციპებს.
- (3) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება N768/2008/ECS პროდუქციის მარკეტინგის საერთო ფარგლების თაობაზე<sup>(2)</sup> ადგენს საერთო პრინციპებსა და საარბიტრაჟო ნორმებს, რომლებიც გამიზნულია მთელს დარგობრივ კანონმდებლობაში გამოსაყენებლად, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი ამ კანონმდებლობის გადახედვისა და შესწორებისათვის. დირექტივა 2009/95/EC შესაბამისად, ადაპტირებული უნდა იქნას ამ გადაწყვეტილებასთან.
- (4) წინამდებარე დირექტივა ეხება ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც შექმნილია განსაზღვრული ძაბვის ლიმიტების ფარგლებში გამოსაყენებლად, რომელიც ახალია კავშირის ბაზრისათვის, ბაზარზე განთავსების დროისათვის; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ევროკავშირში დაფუძნებული მწარმოებლის მიერ დამზადებული ახალი ელექტრო მოწყობილობა ან მესამე სახელმწიფოდან იმპორტირებული ახალი ან მეორადი მოხმარების ელექტრო მოწყობილობა.
- (5) წინამდებარე დირექტივა გამოიყენება ყველა ფორმის მიწოდებაზე/ვაჭრობაზე, მათ შორის, დისტანციურ გაყიდვებზე.
- (6) ეკონომიკური ოპერატორები პასუხისმგებელი უნდა იყვნენ ელექტრო მოწყობილობების ამ დირექტივასთან შესაბამისობაზე მიწოდების ჯაჭვში მათი როლიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი ინტერესების მაღალ დონეზე დაცვა, როგორცაა პირთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, შინაური ცხოველები და საკუთრება, და ევროკავშირის ბაზარზე სამართლიანი კონკურენცია.
- (7) ყველა ეკონომიკურმა ოპერატორმა, რომელიც ჩართულია მიწოდებისა და დისტრიბუციის ჯაჭვში, უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, მხოლოდ ამ დირექტივასთან შესაბამისობაში მყოფი ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ვალდებულებათა ნათელი და პროპორციული გადანაწილება, რომელიც შეესაბამება თითოეული ეკონომიკური ოპერატორის როლს მიწოდებისა და დისტრიბუციის ჯაჭვში.
- (8) ეკონომიკურ ოპერატორებს, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოსა და მოხმარებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოუწოდონ ეკონომიკურ ოპერატორებს საფოსტო მისამართთან ერთად ასევე

(<sup>1</sup>) OJ L 218, 13.8.2008, გვ. 30

(<sup>2</sup>) OJ L 218, 13.8.2008, გვ. 82

- მიუთითონ ვებ გვერდის მისამართიც.
- (9) მწარმოებელი, რომელსაც აქვს დეტალური ცოდნა დიზაინისა და წარმოების პროცესზე, საუკეთესოდ არის მომზადებული, რათა განახორციელოს შესაბამისობის შეფასების პროცედურა. შესაბამისად, შესაბამისობის შეფასება უნდა იყოს მხოლოდ მწარმოებლის მოვალეობა. წინამდებარე დირექტივაში არ არის შესაბამისობის შეფასების დირექტივა, რომელიც მოითხოვს ინფორმირებული ორგანოს ჩარევას.
- (10) აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას, რომ მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე შემოსული ელექტრო მოწყობილობები შეესაბამებოდეს დირექტივას, კერძოდ, მწარმოებლის მიერ ამ ელექტრო მოწყობილობასთან მიმართებით უნდა ჩატარდეს შესაბამისობის შეფასება. შესაბამისად, უდა შეიქმნას დებულება, იმპორტიორებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ ბაზარზე შემოტანილი ელექტრო მოწყობილობილობის შესაბამისობა დირექტივასთან და მათ მიერ არ მოხდეს ისეთი ელექტრო მოწყობილობის შემოტანა, რომელიც არ პასუხობს ამ მოთხოვნებს ან რისკის მატარებელია. იმპორტიორებისათვის ასევე უნდა შეიქმნას დებულება, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობის შეფასების პროცედურების ჩატარება და ელექტრომოწყობილობის მარკირება და მწარმოებლების მიერ შედგენილი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა კომპეტენტური ეროვნული ორგანოებისათვის, შემოწმების მიზნით.
- (11) ბაზარზე ელექტრო მოწყობილობის განთავსებისას, ელექტრო მოწყობილობაზე ყველა იმპორტიორმა უნდა მიუთითოს მისი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელია დაკავშირება. გამონაკლისები უნდა დაიშვას იმ შემთხვევაში, როცა ელექტრო მოწყობილობის ზომა ან ტიპი არ იძლევა ამის საშუალებას. ეს მოიცავს შემთხვევებს, როცა იმპორტიორმა ელექტრო მოწყობილობაზე მისი სახელისა და მისამართის მისაწერად უნდა გახსნას შეფუთვა.
- (12) დისტრიბუტორი ბაზარზე ხელმისაწვდომს ხდის ელექტრო მოწყობილობას, მას მერე რაც მას განათავსებს მწარმოებელი ან იმპორტიორი და მოქმედებს კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყოს ელექტრომოწყობილობის იმგვარად გამოყენება, რომ უარყოფითად არ იმოქმედოს ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობაზე.
- (13) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც თავისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ათავსებს ელექტრო მოწყობილობას ბაზარზე ან ახდენს ელექტრო მოწყობილობის მოდიფიკაციას ისე, რომ შეიძლება გავლენა იქონიოს დირექტივასთან შესაბამისობაზე, ჩაითვლება

- მწარმოებლად და დაეკისრება მწარმოებლის ვალდებულებები.
- (14) დისტრიბუტორები და იმპორტიორები, რომლებიც არიან დაკავშირებული ბაზართან, ჩართულნი უნდა იყვნენ ბაზრის საზედამხედველო საქმიანობაში, რომელსაც ახორციელებენ კომპეტენტური ეროვნული ორგანოები და მზად უნდა იყვნენ, რათა აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ამ ორგანოების, ელექტრო მოწყობილობასთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფაში.
- (15) ელექტრო მოწყობილობის კონტროლის უზრუნველყოფა, მიწოდების მთელს ჯაჭვში, ბაზარზე ზედამხედველობას უფრო მარტივსა და ეფექტურს ხდის. ეფექტური კონტროლის სისტემა აადვილებს ბაზარზე საზედამხედველო ორგანოების ამოცანას, მიაკვლიონ იმ ეკონომიკურ ოპერატორებს, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდიან ბაზარზე შეუსაბამო ელექტრონულ მოწყობილობებს. ამ დირექტივის შესაბამისად, ინფორმაციის შენახვისას სხვა ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირების მიზნით, ეკონომიკურ ოპერატორებს არ მოეთხოვებათ ამგვარი ინფორმაციის განახლება, სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან მიმართებით, რომლებმაც მათ მიაწოდეს ელექტრო მოწყობილობა ან რომლებსაც მათ მიაწოდეს ელექტრო მოწყობილობა.
- (16) ეს დირექტივა უნდა შეიზღუდოს უსაფრთხოების მიზნებისათვის. ამ მიზნებთან შესაბამისობის შემოწმების გაადვილების მიზნით,
- აუცილებელია განისაზღვროს ელექტრო მოწყობილობისათვის შესაბამისობის პრეზუმფცია, რომელიც შეესაბამება ჰარმონიზებულ სტანდარტებს, რომლებიც მიღებულია ევროპული სტანდარტიზაციის შესახებ<sup>(1)</sup> 2012 წლის 25 ოქტომბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EU) No 1025/2012 რეგულაციის შესაბამისად, ამ მიზნების ტექნიკური მახასიათებლების დეტალური აღწერის მიზნით.
- (17) რეგულაციაში (EU) No 1025/2012 განსაზღვრულია ჰარმონიზებული სტანდარტების გაპროტესტების მექანიზმები, იმ შემთხვევაში, თუ ეს სტანდარტები სრულად არ პასუხობენ უსაფრთხოების მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ დირექტივაში.
- (18) ამ დირექტივის შესაბამის ჰარმონიზებულ სტანდარტებში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია<sup>(2)</sup>.
- (19) ელექტრო მოწყობილობის თავისუფალი მოძრაობა, რომლისთვისაც ჰარმონიზებული სტანდარტები არ არსებობს, მიიღწევა საერთაშორისო სტანდარტების უსაფრთხოების პუნქტების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია

<sup>1</sup> OJ L 316, 14.11.2012, გვ.12

<sup>(2)</sup> მიღებულია საბჭოს 2009 წლის 26 ნოემბრის 2010/48/EC ევროპის კავშირის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენციის დადების შესახებ გადაწყვეტილებით

- საერთაშორისო ელექტრო-ტექნიკური კომისიის მიერ ან ეროვნული სტანდარტების გამოყენებით.
- (20) იმ მიზნით, რათა ეკონომიკურმა ოპერატორებმა მოახდინონ ბაზარზე ხელმისაწვდომი ელექტრონული მოწყობილობის დემონსტრირება და ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ მათი შესაბამისობა უსაფრთხოების მიზნებთან, საჭიროა შესაბამისობის შეფასების პროცედურების ჩატარება. გადაწყვეტილება No 768/2008/EC შესაბამისობის შეფასების პროცედურებისათვის ადგენს მოდულებს, რომელიც შეიცავს პროცედურებს ყველაზე იოლიდან ყველაზე მკაცრ პროცედურებამდე რისკის დონისა და უსაფრთხოების მოთხოვნის დონის პროპორციულად. დარგთაშორისი შეთანხმებულობის შენარჩუნებისა და სპეციალური ვარიანტების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისობის შეფასების პროცედურები უნდა იქნას შერჩეული ამ მოდულებიდან.
- (21) მწარმოებლებმა უნდა შეადგინონ ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია, რათა უზრუნველყონ ამ დირექტივით მოთხოვნილი ინფორმაციის უზრუნველყოფა ელექტრო მოწყობილობის ამ დირექტივასთან და სხვა შესაბამის ჰარმონიზებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- (22) ინფორმაციაზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფად ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით, ევროკავშირის ყველა ხელმისაწვდომი აქტების იდენტიფიცირებისათვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისობის თაობაზე ერთ ევროკავშირის დეკლარაციაში. ეკონომიკური ოპერატორებისათვის ადმინისტრაციული ტვირთის შესამსუბუქებლად, ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია შეიძლება იყოს დოკუმენტი, რომელიც შედგება მსგავსი შესაბამისობის ინდივიდუალური დეკლარაციებით.
- (23) CE მარკირება, რომელიც მიუთითებს ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობაზე, წარმოადგენს მთლიანი პროცესის ვიზუალურ შედეგს, რაც მოიცავს შესაბამისობის შეფასებას, ფართო მასშტაბით. CE მარკირების მარეგულირებელი ძირითადი პრინციპები მოცემულია რეგულაციაში (EC) No 765/2008. CE მარკირების გაკეთების მარეგულირებელი წესები მოცემული უნდა იყოს ამ დირექტივაში.
- (24) სამართლებრივი სიზუსტის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია იმის განმარტება, რომ რეგულაციაში (EC) No 765/2008 განსაზღვრული ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობისა და ევროკავშირის ბაზარზე შემავალი პროდუქციის კონტროლის წესები ვრცელდება ელექტრო მოწყობილობაზე. ამ დირექტივამ არ უნდა შეზღუდოს წევრი სახელმწიფოები შეარჩიონ კომპეტენტური ორგანოები აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად.

- (25) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე განთავსების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი სათანადოდ არის დასაწყობებული/შენახული და გამოყენებული განსაზღვრული მიზნისათვის, ან გამოყენების პირობებში შეიძლება იმის გონივრულად გათვალისწინება, რომ საფრთხეს არ შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ელექტრო მოწყობილობა ჩაითვლება შეუსაბამოდ წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრულ უსაფრთხოების მიზნებთან მხოლოდ იმ გამოყენების პირობებში, რომელთა გონივრულად გათვალისწინება შესაძლებელია, ანუ როდესაც ამგვარი გამოყენება არის კანონიერი და ადვილად პროგნოზირებადი ადამიანის მოქმედების შედეგი.
- (26) დირექტივაში 2006/95/EC უკვე განსაზღვრულია დამცავი პროცედურები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა შორის წევრი სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების თაობაზე უთანხმოების შემთხვევაში. გამჭვირვალების გაზრდისა და განხილვის დროის შემცირების მიზნით, აუცილებელია არსებული დამცავი მექანიზმების გამოსწორება, რათა გახდეს უფრო ეფექტური და დაეყრდნოს წევრ სახელმწიფოებში არსებულ ექსპერტიზას.
- (27) არსებულ სისტემას უნდა დაემატოს პროცედურა, რომლის

შესაბამისადაც დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ ზომები, რომელთა გატარებაც არის გათვალისწინებული იმ ელექტრო მოწყობილობასთან მიმართებით, რომელიც ადამიანებისთვის, შინაური ცხოველებისთვის ან საკუთრებისთვის რისკის მატარებელია. ამ პროცედურამ ასევე საშუალება უნდა მისცეს ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობით, აღნიშნულ ელექტრო მოწყობილობასთან მიმართებით იმოქმედონ ადრეულ ეტაპებზე.

- (28) როდესაც წევრი სახელმწიფოები და კომისია თანხმდებიან წევრი სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების სამართლიანობაზე, კომისიის შემდგომი ჩარევა აღარ არის საჭირო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუსრულებლობა შეიძლება ხელს უწყობდეს ჰარმონიზებული სტანდარტების ნაკლოვანებებს.
- (29) ამ დირექტივის განხორციელებისათვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად, კომისიას უნდა მიენიჭოს იმპლემენტაციის უფლებამოსილება. ეს კომპეტენციები უნდა განხორციელდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის რეგულაციის (EU)No 182/2011 მიხედვით, რომელშიც მოცემულია კომისიის მხრიდან იმპლემენტაციის კომპეტენციის განხორციელებისას წევრი სახელმწიფოების მიერ

- კონტროლის მექანიზმების შესახებ წესები და ზოგადი პრინციპები <sup>(3)</sup>.
- (30) შემოწმების პროცედურა უნდა იქნეს გამოყენებული საიმპლემენტაციო აქტების მიღებისათვის შესაბამისობაში მყოფ ელექტრო მოწყობილებელთან მიმართებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ან საზოგადოების ინტერესების დაცვის სხვა ასპექტებს.
- (31) კომისიამ უნდა მიიღოს სასწრაფოდ გამოსაყენებელი საიმპლემენტაციო აქტები, სადაც სამართლიანად მიჩნეულ შემთხვევებში, რომლებიც ეხება შესაბამისობაში მყოფ ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც ადამიანების, შინაური ცხოველების ჯანმრთელობას ან საკუთრების და უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, საჭიროა მოთხოვნილი გადაუდებელი აუცილებლობის იმპერატიული საფუძველი.
- (32) დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, დირექტივით შექმნილმა კომიტეტმა შეიძლება საჭირო როლი შეასრულოს ამ დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, რომელიც დაისმება თავმჯდომარის ან წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, რეგლამენტის შესაბამისად.
- (33) როდესაც განიხილება ამ დირექტივასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა მისი განხორციელების ან შეზღუდვების შესახებ, ანუ კომისიის ექსპერტთა ჯგუფში, ევროპის პარლამენტმა არსებული პრაქტიკის შესაბამისად, უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში ამ შეხვედრებზე დასწრების მოწვევა.
- (34) კომისიამ საიმპლემენტაციო აქტების საშუალებითა და მათი სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რეგულაციის (EU) No182/2011 გამოყენებლად, უნდა განსაზღვროს გამართლებულია თუ არა წევრი სახელმწიფოს მიერ შეუსაბამო ელექტრო მოწყობილებებთან მიმართებით გატარებული ზომები.
- (35) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ წესები ჯარიმების შესახებ, რომლებსაც გამოიყენებენ ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებების დარღვევის შემთხვევაში და უზრუნველყოფენ ამ წესების შესრულებას. განსაზღვრული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და ამკრძალავი.
- (36) აუცილებელია გონივრული გარდამაველი მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც პროდუქციის მოთხოვნებთან შესაბამისობის საჭიროების გარეშე, ხელმისაწვდომს გახდის ბაზარზე ელექტრო მოწყობილობას, რომელიც უკვე განთავსებულ იქნა ბაზარზე დირექტივა 2006/95/EC შესაბამისად, იმ ეროვნული ზომების გამოყენების თარიღამდე, რომელშიც გადატანილია წინამდებარე დირექტივა. შესაბამისად, დისტრიბუტორებს უნდა შეეძლოთ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობის მიწოდება, კერძოდ, სადისტრიბუციო ჯაჭვში

<sup>3</sup>OJ L 55, 28.2.2011, გვ.13

არსებული დასაწყობებული პროდუქციის, იმ ეროვნული ზომების გამოყენების თარიღამდე, რომელშიც გადატანილია წინამდებარე დირექტივა.

(37) ამ დირექტივის მიზნის გათვალისწინებით, კერძოდ, რომ ელექტრო მოწყობილობა უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების მიზნებს, რაც გულისხმობს ადამიანების, შინაური ცხოველებისა ჯანმრთელობისა და საკუთრების და უსაფრთხოების მაღალი დონის დაცვას, მაშინ, როცა შიდა ბაზრის ფუნქციონირების გარანტია ვერ იქნება საკმარისად მიღწეული წევრი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ მისი მასშტაბისა და ეფექტის გათვალისწინებით უკეთ შეიძლება იქნას მიღწეული ევროკავშირის დონეზე, ევროკავშირმა უნდა მიიღოს ზომები სუბსიდირების პრინციპის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლით.

(38) ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს იმ დებულებებით, რომლებიც წარმოადგენენ არსებით ცვლილებებს, განსხვავებით წინამდებარე დირექტივისგან. იმ დებულებების გადატანის ვალდებულება, რომლებიც არ შეცვლილა წარმოიშობა წინამდებარე დირექტივის საფუძველზე.

(39) წინამდებარე დირექტივამ ხელი არ უნდა შეუშალოს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადებთან და დანართში V მოცემული ამ

დირექტივის გამოყენების თარიღებთან დაკავშირებით.

მიღებულ იქნა წინამდებარე დირექტივა:

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

განსახილველი საკითხი და ფარგლები

ამ დირექტივის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნას, რომ ბაზარზე ელექტრო მოწყობილობა პასუხობდეს მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ ადამიანების, შინაური ცხოველების ჯანმრთელობისა და საკუთრების უსაფრთხოების მაღალ დონეზე დაცვას, შიდა ბაზრის ფუნქციონირების გარანტიით.

ეს დირექტივა ვრცელდება ელექტრო მოწყობილობაზე, რომლის გამოყენებაც განსაზღვრულია 50-დან 1000 ვოლტამდე ცვალებადი ძაბვისათვის და 75-დან 1500 ვოლტამდე მუდმივი ძაბვისათვის, მოწყობილობებისა და მექანიზმების გარდა, რომლებიც ჩამოთვლილია დანართში II.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, გამოიყენება შემდეგი განმარტებები:

(1) „ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ნიშნავს დისტრიბუციის მიზნებისათვის ელექტრო მოწყობილობის ნებისმიერი მიწოდება, მოხმარება ან გამოყენება ევროკავშირის ბაზარზე კომერციული საქმიანობის



- პროცესში, გადასახადის ან მოსაკრებლის სანაცვლოდ;
- (2) „ბაზარზე განთავსება“ ნიშნავს ელექტრო მოწყობილობების, პირველ რიგში, ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- (3) „მწარმოებელი“ ნიშნავს ნებისმიერ კერძო ან იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს ელექტრო მოწყობილობებს ან დაუმზადებია ან უწარმოებია ელექტრო მოწყობილობები და ვაჭრობს ამ მოწყობილობებით თავისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით;
- (4) „უფლებამოსილი წარმომადგენელი“ ნიშნავს ევროკავშირში შექმნილ ნებისმიერ კერძო ან იურიდიულ პირს, რომელსაც წერილობითი მანდატი აქვს მიღებული მწარმოებლისგან იმოქმედოს მისი სახელით სფეციფიურ საკითხებთან მიმართებაში;
- (5) „იმპორტიორი“ ნიშნავს ევროკავშირში შექმნილ ნებისმიერ კერძო ან იურიდიულ პირს, რომელიც ათავსებს ელექტრონულ მოწყობილობებს მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის ბაზარზე;
- (6) „დისტრიბუტორი“ ნიშნავს ნებისმიერ კერძო ან იურიდიულ პირს მიწოდების ჯაჭვში, მწარმოებლის ან იმპორტიორის გარდა, რომელიც ელექტრო მოწყობილობებს ხელმისაწვდომს ხდის ბაზარზე;
- (7) „ეკონომიკური ოპერატორი“ ნიშნავს მწარმოებელს, უფლებამოსილ წარმომადგენელს, იმპორტიორსა და დისტრიბუტორს;
- (8) „ტექნიკური მახასიათებელი“ ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც აღწერს ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებსაც ელექტრო მოწყობილობა უნდა პასუხობდეს;
- (9) „ჰარმონიზებული სტანდარტი“ ნიშნავს ჰარმონიზებულ სტანდარტს, როგორც ეს განსაზღვრულია რეგულაციის (EU)მე-2 მუხლის, 1 პუნქტის (გ) ქვეპუნქტით;
- (10) „შესაბამისობის შეფასება“ ნიშნავს პროცესს, რომელიც ახდენს იმის დემონსტრირებას სრულდება თუ არა ელექტრო მოწყობილობებთან დაკავშირებული უსაფრთხოების მიზნები, რომლებიც მითითებულია მე-3 მუხლში და მოცემულია დანართში I;
- (11) „გამოწვევა“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიმართულია ელექტრო მოწყობილობის დასაბრუნებლად, რომელიც უკვე ხელმისაწვდომი გახდა საბოლოო მომხმარებლისათვის;
- (12) „გამოტანა-ამოღება“ ნიშნავს ნებისმიერ ზომას, რომელიც მიმართულია მიწოდების ჯაჭვში არსებული ელექტრო მოწყობილობის შესაჩერებლად, რატა იგი არ გახდეს ბაზარზე ხელმისაწვდომი;
- (13) „კავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია“ ნიშნავს კავშირის ნებისმიერ კანონმდებლობას, რომელიც პროდუქციის მარკეტინგისათვის ახდენს პირობების ჰარმონიზაციას;
- (14) „CE მარკირება“ ნიშნავს მარკირებას, რომლის მეშვეობითაც მწარმოებელი უთითებს, რომ ელექტრო მოწყობილობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რომლებიც განსაზღვრულია

კავშირის ჰარმონიზაციის კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს მისი დამზადების/წარმოების პროცედურას.

მუხლი 3  
ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და უსაფრთხოების მიზნები

ელექტრო მოწყობილობები შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ევროკავშირის ბაზარზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი აწყობილია ევროკავშირში მოქმედი უსაფრთხოების საკითხებში სანიმუშო საინჟინრო პრაქტიკის შესაბამისად, იგი საფრთხეს არ უქმნის ადამიანების, შინაური ცხოველების ან საკუთრების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, როდესაც გამართულად არის დამონტაჟებული და შენახული და გამოყენებული იმ მიზნით, რომელთათვისაც იგი არის შექმნილი.

უსაფრთხოების მიზნების პრინციპული ელემენტები ჩამოთვლილია დანართში I.

მუხლი 4  
თავისუფალი მოძრაობა

წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა შეაფერხონ დირექტივასთან შესაბამისობაში მყოფი ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობა, ამ დირექტივაში განსაზღვრული ასპექტების გამო.

მუხლი 5  
ელექტროენერჯის მიწოდება

ელექტრო მოწყობილობებთან მიმართებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფრო მკაცრი

უსაფრთხოების მოთხოვნები, ვიდრე მე-3 მუხლში მითითებული და დანართში I განსაზღვრული უსაფრთხოების მიზნებია არ დააწესონ ელექტროენერჯის მიწოდებლებმა ქსელის დასაკავშირებლად ან ელექტრო მოწყობილობების მომხმარებლებისათვის ელექტრო ენერჯის მიწოდებისათვის.

თავი 2  
ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებები

მუხლი 6

მწარმოებლების ვალდებულებები

1. ბაზარზე თავიანთი ელექტრო მოწყობილობების განთავსებისას მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოწყობილობები დამზადებული და წარმოებული იყოს მე-3 მუხლში მითითებული და დანართში I მოცემული უსაფრთხოების მიზნების შესაბამისად.

2. მწარმოებლებმა უნდა შეადგინონ დანართში III მითითებული ტექნიკური დოკუმენტაცია და გაატარონ დანართში III მითითებული შესაბამისობის შემოწმების პროცედურა ან უკვე გატარებული ქონდეთ იგი.

როდესაც შესაბამისობის შეფასების პროცედურის შედეგად გამოვლენილია ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობა მე-3 მუხლში მოცემულ და დანართში I მითითებულ უსაფრთხოების მიზნებთან, რომელიც მითითებულია პირველ ქვეპუნქტში, მწარმოებელმა უნდა შეადგინოს ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია და გაუკეთოს CE მარკირება.

3. მწარმოებლებმა უნდა შეინახონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც

მითითებულია დანართში III და შესაბამისობის დეკლარაციაში, ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.

4. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სერიულ პროდუქციასთან მიმართებით გატარდეს შესაბამისი პროცედურები, რათა იგი შესაბამისობაში იყოს ამ დირექტივასთან. ცვლილებები პროდუქციის ტიპში ან მახასიათებლებში და ცვლილებები ჰარმონიზებულ სტანდარტებში, რომლებიც მითითებულია მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებში მოცემულ საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებში ან სხვა ტექნიკურ მახასიათებლებში, რომელთა მიხედვითაც ელექტრო მოწყობილობა გამოცხადდა შესაბამისობაში მყოფად, ადეკვატურად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

საჭიროების შემთხვევაში საფრთხესთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებს ელექტრო მოწყობილობა, მწარმოებლებმა მომხმარებელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად უნდა ჩაატარონ ბაზარზე ხელმისაწვდომი ელექტრო მოწყობილობების მარტივი ტესტირება, გამოიძიონ და აუცილებლობის შემთხვევაში, აწარმოონ საჩივრების რეესტრი შეუსაბამო და მიმოქცევიდან ამოღებულ ელექტრო მოწყობილობებზე და ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დისტრიბუტორებს თითოეულ ამგვარ მონიტორინგზე.

5. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც მათ განათავსეს ბაზარზე, მითითებული ჰქონდეთ ტიპი, სერია ან სერიული ნომერი ან სხვა ელემენტი, რომელიც მათი ინდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა; ან სადაც ელექტრო მოწყობილობის ზომა და ტიპი არ იძლევა

ამის საშუალებას, მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს მის შეფუთვაზე ან ელექტრო მოწყობილობის თანმხლებ დოკუმენტებში.

6. მწარმოებლებმა ელექტრო მოწყობილობაზე უნდა მიუთითონ, თავიანთი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო მარკა და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელია მათთან დაკავშირება ან თუ აღნიშნულის უზრუნველყოფა შეუძლებელია, მითითებული უნდა იყოს შეფუთვაზე ან ელექტრო მოწყობილობის თანმხლებ დოკუმენტებში. მისამართი უნდა მიუთითებდეს ადგილს, სადაც შესაძლებელია მწარმოებელთან დაკავშირება. საკონტაქტო დეტალები უნდა იყოს საბოლოო მომხმარებლისა და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე.

7. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრო მოწყობილობას თან ახლდეს ინსტრუქცია და უსაფრთხოების ინფორმაცია ენაზე, რომელიც ადვილად გასაგებია მომხმარებლებისა და სხვა საბოლოო მომხმარებლებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ. ამგვარი ინსტრუქცია და უსაფრთხოების ინფორმაცია ასევე, ნებისმიერი იარაღი/ინსტრუქცია უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და გარჩევადი.

8. მწარმოებელმა, რომელიც მიიჩნევს ან აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ მის მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისობაში, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გამოსასწორებელი საჭირო ზომები, რათა მოიყვანოს ელექტრო

მოწყობილობა შესაბამისობაში, საჭიროების შემთხვევაში ამოიღოს ან გამოითხოვოს იგი უკან. უფრო მეტიც, როდესაც ელექტრო მოწყობილობა არ არის უსაფრთხო, მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის ბაზარზეც მათ ხელმისაწვდომი გახადეს ელექტრო მოწყობილობა, ასევე დეტალებზე, კერძოდ, შეუსაბამობაზე და ნებისმიერ მიღებულ გამოსასწორებელ ზომებზე.

9. მწარმოებელმა კომპეტენტური ეროვნული ორგანოების დასაბუთებული მოთხოვნის შემდგომ უნდა უზრუნველყონ ისინი ყველა ინფორმაციითა და დოკუმენტაციით, დოკუმენტალური ან ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელია ელექტრო მოწყობილობის ამ დირექტივასთან შესაბამისობის დემონსტრირებისათვის, ამ ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე. მათ უნდა ითანამშრომლონ ამ ორგანოებთან, მათი მოთხოვნის საფუძველზე, მათ მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობის საფრთხის აღმოსაფხვრელად ნებისმიერ განხორციელებულ მოქმედებაზე.

#### მუხლი 7

##### უფლებამოსილი წარმომადგენლები

1. მწარმოებელს წერილობითი მანდატით შეუძლია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ვალდებულება, რომელიც მითითებულია 6(1) მუხლში და ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია 6(2) მუხლში არ შეიძლება შეადგენდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის მანდატის ნაწილს.

2. უფლებამოსილი წარმომადგენელი ასრულებს მწარმოებლისგან მიღებულ მანდატში მითითებულ დავალებებს. მანდატი უფლებამოსილ წარმომადგენელს სულ მცირე შემდეგი საქმიანობის შესრულების საშუალებას უნდა აძლევდეს:

- (ა) ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციისა და ტექნიკურ დოკუმენტაციის შენახვა ეროვნული ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს განკარგულებაში 10 წლის განმავლობაში, იმ პერიოდიდან/თარიღიდან, რაც ელექტრო მოწყობილობა განთავსდა ბაზარზე;
- (ბ) კომპეტენტური ეროვნული ორგანოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს შესაბამის ორგანოს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც ახდენს ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობის დემონსტრირებას;
- (გ) ითანამშრომლოს ეროვნულ ორგანოებთან, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ნებისმიერი მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა ელექტრო მოწყობილობის საფრთხის აღმოსაფხვრელად, რაზედაც ვრცელდება წარმომადგენლის მანდატი.

#### მუხლი 8

##### იმპორტიორების ვალდებულებები

1. იმპორტიორები ბაზარზე განათავსებენ მხოლოდ შესაბამისობაში მყოფ ელექტრო მოწყობილობებს.

2. ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე განთავსებამდე, იმპორტიორებმა უნდა

უზრუნველყონ, რომ სათანადო შესაბამისობის შეფასების პროცედურა გატარებულია მწარმოებლის მიერ. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მწარმოებელმა შეადგინოს ტექნიკური დოკუმენტები, ელექტრო მოწყობილობას ჰქონდეს CE მარკირება და თან ახლდეს მოთხოვნილი დოკუმენტები და მწარმოებელი პასუხობდეს მე-6(5) და მე-6(6) მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში თუ იმპორტიორი მიიჩნევს, ან აქვს საფუძველი ელექტრო მოწყობილობა ჩათვალოს მე-3 მუხლსა და დანართში I მოცემულ უსაფრთხოების მიზნებთან შეუსაბამოდ, მან არ უნდა განათავსოს ელექტრო მოწყობილობა ბაზარზე მანამ, სანამ იგი არ იქნება მოყვანილი შესაბამისობაში. უფრო მეტიც, როდესაც ელექტრო მოწყობილობა საფრთხის მატარებელია, იმპორტიორმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელსა და ბაზრის საზედამხედველო ორგანოებს აღნიშნულის შესახებ.

3. იმპორტიორებმა ელექტრო მოწყობილობაზე უნდა მიუთითონ თავიანთი სახელი, რეგისტრირებული სავაჭრო სახელი ან რეგისტრირებული სავაჭრო მარკა და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელია მათთან დაკავშირება ან თუ აღნიშნულის უზრუნველყოფა შეუძლებელია, მითითებული უნდა იყოს შეფუთვაზე ან ელექტრო მოწყობილობის თანმხლებ დოკუმენტებში. საკონტაქტო დეტალები უნდა იყოს საბოლოო მომხმარებლებისა და ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე.

4. იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრო მოწყობილობას თან ახლდეს ინსტრუქცია და უსაფრთხოების

ინფორმაცია ენაზე რომელიც ადვილად გასაგებია მომხმარებლებისა და სხვა საბოლოო მომხმარებლებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ.

5. იმპორტიორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ვიდრე ელექტრო მოწყობილობა მისი პასუხისმგებლობის ქვეშაა, მისი შენახვის ან ტრანსპორტირების პირობები საფრთხეს არ შეუქმნის მე-3 მუხლითა და I დანართით განსაზღვრულ უსაფრთხოების მიზნებთან შესაბამისობას.

6. საჭიროების შემთხვევაში საფრთხესთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებს ელექტრო მოწყობილობა, იმპორტიორებმა მომხმარებელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად უნდა ჩაატარონ ბაზარზე ხელმისაწვდომი ელექტრო მოწყობილობების მარტივი ტესტირება, გამოიძიონ და აუცილებლობის შემთხვევაში, აწარმოონ საჩივრების რეესტრი შეუსაბამო და გამოწვეულ ელექტრო მოწყობილობებზე და ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დისტრიბუტორებს თითოეული ამგვარი მონიტორინგის თაობაზე.

7. იმპორტიორებმა, რომლებიც თვლიან ან აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისობაში, სასწრაფოდ უნდა მიიღონ გამოსასწორებელი საჭირო ზომები, რათა მოიყვანოს ელექტრო მოწყობილობა შესაბამისობაში, საჭიროების შემთხვევაში გამოიწვიონ ან გამოითხოვონ იგი. უფრო მეტიც, როდესაც ელექტრო მოწყობილობა არ არის უსაფრთხო, მწარმოებელმა სასწრაფოდ უნდა აცნობოს იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის ბაზარზეც მათ ხელმისაწვდომი გახადეს ელექტრო მოწყობილობა, ასევე დეტალებზე,

კერძოდ, შეუსაბამობაზე და ნებისმიერ მიღებულ გამოსასწორებელ ზომებზე.

8. იმპორტიორებმა ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, ეროვნული ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს განკარგულებაში, უნდა შეინახონ ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაცია და უზრუნველყონ ტექნიკურ დოკუმენტაციის ამ ორგანოებისათვის ხელმისაწვდომობა.

9. იმპორტიორებმა კომპეტენტური ეროვნული ორგანოების დასაბუთებული მოთხოვნის შემდგომ უნდა უზრუნველყონ ისინი ყველა ინფორმაციითა და დოკუმენტაციით, ბეჭდვითი ან ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელია ელექტრო მოწყობილობის ამ დირექტივასთან შესაბამისობის დემონსტრირებასისათვის ამ ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე. მათ უნდა ითანამშრომლონ ამ ორგანოებთან მათი მოთხოვნის საფუძველზე მათ მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობის საფრთხის აღმოსაფხვრელად ნებისმიერ განხორციელებულ მოქმედებაზე.

### მუხლი 9

#### დისტრიბუტორების ვალდებულებები

1. ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას, დისტრიბუტორები უნდა მოქმედებდნენ შესაბამისი სიფრთხილით ამ დირექტივის მოთხოვნებთან მიმართებით.

2. ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე განთავსებამდე, დისტრიბუტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრო მოწყობილებას ჰქონდეს CE მარკირება, რასაც თან ახლავს მოთხოვნილი

დოკუმენტები და ინსტრუქცია და უსაფრთხოების ინფორმაცია იმ ენაზე, რომელიც ადვილად გასაგებია მომხმარებლებისა და სხვა საბოლოო მომხმარებლებისათვის წევრ სახელმწიფოში, რომლის ბაზარზეც ელექტრო მოწყობილობა გახდა ხელმისაწვდომი და ასევე დარწმუნდნენ, რომ მწარმოებელი და იმპორტიორი პასუხობენ მე-6(5), მე-6(6) და მე-8(3) მუხლების მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში თუ დისტრიბუტორი მიიჩნევს, ან აქვთ საფუძველი ელექტრო მოწყობილობა ჩათვალოს მე-3 მუხლსა და დანართიში I მოცემულ უსაფრთხოების მიზნებთან შეუსაბამოდ, მან არ უნდა განათავსოს ელექტრო მოწყობილობა ბაზარზე მანამ, სანამ იგი არ იქნება მოყვანილი შესაბამისობაში. უფრო მეტიც, როდესაც ელექტრო მოწყობილობა, არ არის უსაფრთხო, დისტრიბუტორმა უნდა შეატყობინოს მწარმოებელს ან იმპორტიორს და ასევე ბაზარზე საზედამხედველო ორგანოებს ამის შესახებ.

3. დისტრიბუტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ელექტრო მოწყობილობა, ვიდრე მათი პასუხისმგებლობის ქვეშაა, მისი შენახვის ან ტრანსპორტირების პირობები საფრთხეს არ შეუქმნის მე-3 მუხლითა და I დანართით განსაზღვრულ უსაფრთხოების მიზნებთან შესაბამისობას.

4. იმპორტიორები, რომლებიც თვლიან ან აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობა არ არის ამ დირექტივასთან შესაბამისობაში, სასწრაფოდ უნდა მიიღოს გამოსასწორებელი საჭირო ზომები, რათა მოიყვანოს ელექტრო მოწყობილობა შესაბამისობაში, საჭიროების შემთხვევაში

გამოიწვიოს უკან ან გამოითხოვოს იგი. უფრო მეტიც, როდესაც ელექტრო მოწყობილობა არ არის უსაფრთხო, მწარმოებელმა სასწრაფოდ უნდა აცნობოს იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის ბაზარზეც მათ ხელმისაწვდომი გახადეს ელექტრო მოწყობილობა, ასევე დეტალებზე, კერძოდ, შეუსაბამობაზე და ნებისმიერ მიღებულ გამოსასწორებელ ზომებზე.

5. დისტრიბუტორებმა კომპეტენტური ეროვნული ორგანოების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე უნდა უზრუნველყონ ისინი ყველა ინფორმაციითა და დოკუმენტაციით, ბეჭდვითი ან ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელია ელექტრო მოწყობილობის ამ დირექტივასთან შესაბამისობის დემონსტრირებისათვის ამ ორგანოებისათვის ადვილად გასაგებ ენაზე. მათ უნდა ითანამშრომლონ ამ ორგანოებთან, მათი მოთხოვნის საფუძველზე, მათ მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო მოწყობილობის საფრთხის აღმოსაფხვრელად ნებისმიერ განხორციელებულ მოქმედებაზე.

#### მუხლი 10

შემთხვევები, როდესაც მწარმოებლების ვალდებულებები ვრცელდება იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებზე

ამ დირექტივის მიზნებისათვის, იმპორტიორი ან დისტრიბუტორი ითვლება მწარმოებლად და მე-6 მუხლის შესაბამისად ეკისრება მწარმოებლის ვალდებულებები, როდესაც იგი მისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ათავსებს ელექტრო მოწყობილობას ბაზარზე, ან ახდენს ბაზარზე უკვე განთავსებული ელექტრო მოწყობილობის მოდიფიცირებას ისე, რომ შესაძლოა

გავლენა იქონიოს მის ამ დირექტივასთან შესაბამისობაზე.

#### მუხლი 11

ეკონომიკური ოპერატორების  
იდენტიფიცირება

ეკონომიკურმა ოპერატორებმა, მოთხოვნის საფუძველზე ბაზრის საზედამხედველო ორგანოებს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელმაც მიაწოდა მათ ელექტრო მოწყობილობები;
- (ბ) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელსაც მათ მიაწოდეს ელექტრო მოწყობილობები.

ეკონომიკურ ოპერატორებს უნდა შეეძლოთ პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის წარდგენა 10 წლის განმავლობაში მას მერე, რაც მათ მიაწოდეს ელექტრო საქონელი და 10 წლის განმავლობაში, რაც მათ მიერ იქნა მიწოდებული ელექტრო საქონელი.

#### თავი 3

ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობა

#### მუხლი 12

ჰარმონიზებული სტანდარტების  
საფუძველზე შესაბამისობის პრეზუმფცია

ელექტრო მოწყობილობა, რომელიც შესაბამისობაშია ჰარმონიზებულ სტანდარტებთან ან მის ნაწილთან, რომელიც გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში ითვლება მე-3 მუხლისა და დანართში I

მითითებულ უსაფრთხოების მიზნების შესაბამისად.

### მუხლი 13

საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შესაბამისობის პრეზუმფცია

1. როდესაც მე-12 მუხლში მითითებული ჰარმონიზებული სტანდარტები არ არის შედგენილი და გამოქვეყნებული, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და მე-3 და მე-4 მუხლებში განსაზღვრული თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მათმა კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩათვალონ მე-3 მუხლითა და დანართით I გათვალისწინებულ უსაფრთხოების მიზნებთან შესაბამისობაში ის ელექტრო მოწყობილობები, რომლებიც პასუხობენ, საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებთან მიმართებაშიც ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული გამოქვეყნების პროცედურა ვრცელდება.

2. პირველ პუნქტში მითითებული უსაფრთხოების დებულებები კომისიის მიერ უნდა ეცნობოს წევრ სახელმწიფოებს. კომისიამ წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ უნდა დაადგინოს უსაფრთხოების დებულებები, კერძოდ, ის ვარიანტები, რომლის გამოქვეყნებასაც მიზანშეწონილად თვლის.

3. წევრი სახელმწიფო სამი თვის ვადაში ატყობინებს კომისიას მე-2 პუნქტის შესაბამისად ცნობილი უსაფრთხოების დებულებებთან მიმართებით ნებისმიერი საწინააღმდეგო პოზიციის შესახებ, უსაფრთხოების საფუძველების მითითებით, რომელთა გამოც დებულებები არ უნდა იქნას აღიარებული.

ინფორმაციის მიზნებისათვის მითითებები უსაფრთხოების დებულებებზე, რომელთა შესახებაც საწინააღმდეგო პოზიცია არ არის დაფიქსირებული, უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

### მუხლი 14

ეროვნული სტანდარტების საფუძველზე შესაბამისობის პრეზუმფცია

როდესაც მე-12 მუხლში მითითებული ჰარმონიზებული სტანდარტები არ არის შედგენილი და გამოქვეყნებული და ასევე არ არის გამოქვეყნებული მე-13 მუხლში მითითებული საერთაშორისო სტანდარტები, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ ბაზარზე ხელმისაწვდომობა და მე-3 და მე-4 მუხლებში განსაზღვრული თავისუფალი მოძრაობა მათმა კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩათვალონ მე-3 მუხლითა და დანართით I გათვალისწინებულ უსაფრთხოების მიზნებთან შესაბამისობაში ის ელექტრო მოწყობილობები, რომლებიც დამზადებულია წევრ სახელმწიფოში მოქმედი სტანდარტების უსაფრთხოების დებულებების შესაბამისად, თუ ეს უზრუნველყოფს მათ ტერიტორიაზე მოთხოვნილი უსაფრთხოების დონის ექვივალენტურ დონეს.

### მუხლი 15

ევროკავშირის დეკლარაცია შესაბამისობაზე

1. ევროპის დეკლარაცია შესაბამისობის თაობაზე უნდა ითვალისწინებდეს, რომ



მე-3 მუხლსა და I დანართში მითითებული უსაფრთხოების მიზნების შესრულება დემონსტრირებულია.

2. ევროპის დეკლარაციას შესაბამისობის თაობაზე უნდა ჰქონდეს IV დანართში მითითებული მოდელური სტრუქტურა, უნდა შეიცავდეს მოდულში "ა" მითითებულ ელემენტებს, როგორც მოცემულია III დანართში და მუდმივად უნდა იყოს განახლებული. იგი გადათარგმნილი უნდა იქნას იმ ენაზე ან ენებზე, რომელსაც მოითხოვს ის წევრი სახელმწიფოები, რომელთა ბაზარზეც ეს ელექტრო მოწყობილობა არის განთავსებული ან ხელმისაწვდომი.

3. როდესაც ელექტრო მოწყობილობაზე ვრცელდება კავშირის ერთზე მეტი აქტი, რომელიც მოითხოვს შესაბამისობის თაობაზე ევროკავშირის დეკლარაციას, შემუშავებულ უნდა იქნეს შესაბამისობის თაობაზე ევროკავშირის ერთი დეკლარაცია კავშირის ყველა ამგვარ აქტებთან მიმართებით. დეკლარაცია უნდა მოიცავდეს შესაბამისი კავშირის აქტების იდენტიფიკაციას მათი გამოქვეყნების მითითებით.

4. შესაბამისობის თაობაზე ევროკავშირის დეკლარაციის შემუშავებით მწარმოებელი იღებს პასუხისმგებლობას ელექტრო მოწყობილობის წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

#### მუხლი 16

CE მარკირების ზოგადი პრინციპები

CE მარკირებზე ვრცელდება რეგულაციის (EC) No 765/2008 30-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები.

#### მუხლი 17

CE მარკირების გაკეთების წესები და პირობები

1. CE მარკირება უნდა გაკეთდეს ნათლად, გარკვევით და წარუშლელად ელექტრო მოწყობილობაზე ან მის მონაცემთა ეტიკეტზე. იქ, სადაც ეს არ არის შესაძლებელი ან არ არის გამართლებული ელექტრო მოწყობილობის ტიპიდან გამომდინარე, იგი დატანილი უნდა იქნას შეფუთვაზე და თანმხლებ დოკუმენტებზე.

2. CE მარკირება უნდა გაკეთდეს ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებამდე.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული მექანიზმები, რათა უზრუნველყონ CE მარკირების მომწესრიგებელი წესების სწორი გამოყენება და მიიღონ შესაბამისი ზომები ამ მარკირების არასათანადო გამოყენების შემთხვევაში.

#### თავი 4

ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობა, ევროკავშირის ბაზარზე შემავალი ელექტრო მოწყობილობების კონტროლი და ევროკავშირის დაცვის პროცედურები

#### მუხლი 18

კავშირის ბაზრის ზედამხედველობა, კავშირის ბაზარზე შემავალი ელექტრო მოწყობილობების კონტროლი

რეგულაციის (EC) No765/2008 მე-15(3) მუხლისა და მე-16 - 29-ე მუხლები ვრცელდება ელექტრო მოწყობილობაზე.

#### მუხლი 19

პროცედურები, რომელიც ეხება იმ ელექტრო მოწყობილობას, რომელიც წარმოქმნის რისკს ეროვნულ დონეზე

1. როდესაც წევრი სახელმწიფოების ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებს აქვთ საკმარისი საფუძველი ივარაუდონ, რომ ამ დირექტივაში განსაზღვრული ელექტრო მოწყობილობა წარმოადგენს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან შინაური ცხოველისათვის, საკუთრების ან უსაფრთხოებისათვის, მათ უნდა განახორციელონ შეფასება შესაბამის ელექტრო მოწყობილობასთან მიმართებით, რომელშიც ასახული იქნება ამ დირექტივაში მოცემული ყველა მოთხოვნა. შესაბამისმა ეკონომიკურმა ოპერატორებმა საჭიროების შემთხვევაში უნდა ითანამშრომლონ ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებთან ამ მიზნით.

სადაც პირველ პუნქტში მითითებული შეფასების განხორციელებისას, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები დაადგენენ, რომ ელექტრო მოწყობილობა არ არის ამ დირექტივაში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში, მათ დაუყოვნებლივ უნდა მოთხოვონ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებს გაატარონ ყველა გამოსასწორებელი ღონისძიება, რათა ელექტრო მოწყობილობა მოვიდეს შესაბამისობაში ამ მოთხოვნებთან, ამოიღონ ელექტრო მოწყობილობა მიმოქცევიდან, ან გამოითხოვონ ბაზრიდან გონივრული პერიოდის განმავლობაში დადგენილი რისკის ტიპის პროპორციულად.

რეგულაციის (EC)No765/2008 21-ე მუხლი ვრცელდება იმ ზომებზე, რომლებიც მითითებულია ამ პუნქტის მეორე ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ზომებზე.

2. როდესაც ბაზრის ზედამხედველობის ორგანოები თვლიან, რომ შეუსაბამობა შეზღუდული არ არის მათ ტერიტორიაზე, ისინი აცნობებენ კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს შეფასების შედეგებს და იმ მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც მოთხოვეს ეკონომიკურ ოპერატორებს.

3. ეკონომიკურმა ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი გამოსასწორებელი ზომების მიღება იმ ელექტრო მოწყობილობებთან მიმართებით, რომლებიც კავშირის ფარგლებში ბაზარზე გახდა ხელმისაწვდომი.

4. როდესაც შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი არ იღებს ადეკვატურ გამოსასწორებელ ზომებს პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტში მითითებულ ვადებში, ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი დროებითი ზომა, რათა აკრძალონ ან შეზღუდონ ელექტრო მოწყობილობის მათ ეროვნულ ბაზარზე ხელმისაწვდომობა, გამოიწვიონ ელექტრო მოწყობილობა ბაზრიდან ან ამოიღონ იგი.

ბაზრის ზედამხედველობის ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს ამ ზომების შესახებ.

5. მე-4 პუნქტის მეორე ქვეპუნქტში მითითებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ დეტალს, კერძოდ შეუსაბამო ელექტრო მოწყობილობების ამოსაცნობად საჭირო მონაცემებს, ელექტრო მოწყობილობის წარმოშობას, სავარაუდო შეუსაბამობის ტიპსა და მასთან დაკავშირებულ საფრთხეს, მიღებული ეროვნული ზომების ტიპსა და ხანგრძლივობას და შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორის

მიერ გაკეთებულ არგუმენტებს. კერძოდ, ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა მიუთითონ შეუსაბამობა გამოწვეულია თუ არა ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო:

(ა) ელექტრო მოწყობილობა ვერ პასუხობს მე-3 მუხლსა და დანართში I მითითებულ უსაფრთხოების მიზნებს, ადამიანების, შინაური ცხოველების ჯანმრთელობის და საკუთრების უსაფრთხოების შესახებ, ან

(ბ) ხარვეზები მე-12 მუხლში მითითებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებში ან მე-13 და მე-14 მუხლებში განსაზღვრული საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებში, რასაც წარმოადგენს შესაბამისობის პრეზუმფცია.

6. წევრმა სახელმწიფოებმა, იმ წევრი სახელმწიფოების გარდა, რომლებმაც ამ მუხლის შესაბამისად მოახდინეს პროცესის ინიცირება, დროულად უნდა მიაწოდონ კომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს ინფორმაცია ნებისმიერ მიღებულ ზომაზე და მათ ხელთ არსებული ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია შესაბამისი ელექტრო მოწყობილობის შეუსაბამობის შესახებ და მიღებულ ეროვნულ ზომებთან უთანხმოების შემთხვევაში მათი საწინააღმდეგო პოზიციის შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ დროებით ზომებთან მიმართებაში მე-4 პუნქტის მეორე ქვეპუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში წევრი სახელმწიფოს ან კომისიის მიერ არ იქნა საწინააღმდეგო

პოზიცია გამოხატული, ეს ზომა ჩაითვლება გამართლებულად.

8. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამის ელექტრო მოწყობილობებთან დაკავშირებით სათანადო შემზღუდავი ზომები იქნას მიღებული, მაგალითად, ელექტრო მოწყობილობების ბაზრიდან დაუყოვნებლივ ამოღება.

მუხლი 20

ევროკავშირის დამცავი/დაცვითი პროცედურა

1. როდესაც მე-19(3) და მე-19(4) მუხლებში მითითებული პროცედურების შესრულების შემდეგ, მიღებულ ზომებთან მიმართებაში გამოხატულია საწინააღმდეგო პოზიცია ან როდესაც კომისია მიიჩნევს, რომ ეროვნული ზომები ეწინააღმდეგება კავშირის კანონმდებლობას, კომისიამ დაუყოვნებლივ, წევრ სახელმწიფოსთან ან ეკონომიკურ ოპერატორთან ან ოპერატორებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა შეაფასოს ეროვნული ზომა. ამ შეფასების შედეგების საფუძველზე, კომისიამ უნდა მიიღოს შუალედური აქტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ზომების სამართლიანობას.

კომისიამ უნდა მიაწოდოს მისი გადაწყვეტილება ყველა წევრ სახელმწიფოს და დაუყოვნებლივ გააცნოს იგი მათ და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს ან ოპერატორებს.

2. თუ ეროვნული ზომები სამართლიანად არის მიჩნეული, ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ელექტრო მოწყობილობა, რომელიც არ არის შესაბამისობაში ამოღებულ იქნას ბაზრიდან და შესაბამისად შეატყობინოს

კომისიას. თუ ეროვნული ზომები არასამართლიანად იქნა მიჩნეული, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შეწყვიტონ/შეაჩერონ ეს ზომები.

3. სადაც ეროვნული ზომები სამართლიანად არის მიჩნეული და ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობაში არ ყოფნა წარმოადგენს ამ დირექტივის მე-19(5) მუხლის (ბ) პუნქტში მითითებული ჰარმონიზებული სტანდარტების ხარვეზს, კომისიამ უნდა მიმართოს რეგულაციის (EC) N1025/2015 მე-11 მუხლით გათვალისწინებული პროცედურას.

#### მუხლი 21

შესაბამისობაში მყოფი ელექტრო მოწყობილობა, რომელიც არის რისკის მატარებელი

1. სადაც მე-19(1) მუხლის საფუძველზე განხორციელებული შეფასების შედეგად წევრი სახელმწიფო ადგენს, რომ ელექტრო მოწყობილობის წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის მიუხედავად, იგი წარმოადგენს რისკს ადამიანის, შინაური ცხოველის ჯანმრთელობისათვის ან საკუთრების უსაფრთხოებისათვის მათ დაუყოვნებლივ უნდა მოთხოვონ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებს გაატარონ ყველა სათანადო ღონისძიება, რათა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე განთავსებისას იგი აღარ იყოს რისკის მატარებელი, ამოიღონ ელექტრო მოწყობილობა მიმოქცევიდან, ან გამოითხოვონ ბაზრიდან გონივრული პერიოდის განმავლობაში, დადგენილი რისკის ტიპის პროპორციულად.

2. ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს გამოსასწორებელი მოქმედებების განხორციელება ყველა შესაბამის ელექტრო მოწყობილობასთან

მიმართებით, რომელიც მან გახადა ხელმისაწვდომი ბაზარზე ევროკავშირის მასშტაბით.

3. წევრმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიას და სხვა წევრ სახელმწიფოებს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ყველა ხელმისაწვდომ დეტალს, კერძოდ, შესაბამისი ელექტრო მოწყობილობის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ მონაცემებს, ელექტრო მოწყობილობის წარმოშობასა და მიწოდების ჯაჭვს, რისკის ტიპს, განხორციელებული ეროვნული ზომების ტიპსა და ხანგრძლივობას.

4. კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა გამართოს კონსულტაცია წევრ სახელმწიფოებთან და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორთან ან ოპერატორებთან და შეაფასოს მიღებული ეროვნული ზომები. შეფასების შედეგების საფუძველზე, კომისიამ საიმპლემენტაციო აქტების საშუალებით უნდა განსაზღვროს ეროვნული ზომები სამართლიანია თუ არა, და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზოს სათანადო ზომები.

ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული საიმპლემენტაციო აქტები მიღებულ უნდა იქნას 23(2)-ე მუხლში მითითებული შემოწმების პროცედურების შესაბამისად.

ადამიანის ან შინაური ცხოველის ჯანმრთელობასა ან საკუთრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უკიდურესი აუცილებლობის სათანადოდ სამართლიან იმპერატიულ საფუძველზე, კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი საიმპლემენტაციო აქტები 23(3)-ე მუხლში მითითებული პროცედურის შესაბამისად.

5. კომისიამ მისი გადაწყვეტილება უნდა გაავრცელოს ყველა წევრ სახელმწიფოზე

და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მათ და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს ან ოპერატორებს.

### მუხლი 22

ფორმალური შეუსაბამობა

1. მე-19 მუხლის შეუზღუდავად, როდესაც წევრი სახელმწიფო ადგენს ერთ-ერთს ქვემოთ მოცემულთაგან, მან უნდა მოთხოვოს შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს აღმოფხვრას შეუსაბამობა:

- (ა) CE მარკირება გაკეთებულ იქნა რეგულაციის (EC) N765/2008 30-ე მუხლის ან წინამდებარე დირექტივის მე-17 მუხლის დარღვევით;
- (ბ) CE მარკირება არ იქნა გაკეთებული;
- (გ) არ იქნა შემუშავებული ევროპის კავშირის დეკლარაცია შესაბამისობის თაობაზე;
- (დ) ევროპის კავშირის დეკლარაცია შესაბამისობის თაობაზე არ იქნა სწორად შემუშავებული;
- (ე) ტექნიკური დოკუმენტაცია ან არ არის ხელმისაწვდომი ან არასრულყოფილია;
- (ვ) მე-6(6) მუხლსა და მე-8(3) მუხლში მითითებული ინფორმაცია არ არის, ყალბია ან არასრული;
- (ზ) მე-6(6) მუხლითა და მე-8(3) მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა მოთხოვნა არ არის შესრულებული.

2. სადაც პირველ პუნქტში მითითებული შეუსაბამობა გრძელდება, დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა

შეზღუდოს ან აკრძალოს ელექტრო მოწყობილობის ხელმისაწვდომობა ბაზარზე და უზრუნველყოს მისი ბაზრიდან ამოღება ან გამოთხოვა.

თავი 5

კომიტეტი, გარდამავალი და დასკვითი დებულებები

### მუხლი 23

კომიტეტის რეგლამენტი

1. კომისიას უნდა დაეხმაროს ელექტრო მოწყობილობების შესახებ კომიტეტი. აღნიშნული კომიტეტი უნდა იყოს კომიტეტი რეგულაციის (EU) N 182/2011 მნიშვნელობით.

2. იქ სადაც მითითებაა გაკეთებული ამ პუნქტზე, რეგულაციის (EU) N 182/2011 მე-5 მუხლი უნდა იქნას გამოყენებული.

3. იქ სადაც მითითებაა გაკეთებული ამ პუნქტზე, რეგულაციის (EU) N 182/2011 მე-8 მუხლი მე-5 მუხლთან ერთად უნდა იქნას გამოყენებული.

4. კომიტეტს კონსულტაცია უნდა გაუწიოს კომისიამ ნებისმიერ საკითხზე, რაზედაც მოითხოვება სექტორული ექსპერტების კონსულტაცია რეგულაციის (EU) N1025/2012 ან კავშირის ნებისმიერი სხვა კანონმდებლობით.

უფრო მეტიც, კომიტეტს შეუძლია შეამოწმოს ნებისმიერი სხვა საკითხი ამ დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც წამოჭრილია თავმჯდომარის ან წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ მისი რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 24

ჯარიმები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ წესები ჯარიმებზე, რომლებიც გამოყენებული იქნება ეკონომიკური ოპერატორების მიერ ჩადენილი ამ დირექტივის შესაბამისად მიღებული ეროვნული კანონის დებულებების დარღვევისათვის, და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი აღსრულების უზრუნველსაყოფად.

გათვალისწინებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული.

#### მუხლი 25

##### გარდამავალი დებულებები

წევრმა სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ იმ ელექტრო მოწყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობას, რომელსაც ითვალისწინებს დირექტივა 2006/95/EC და შესაბამისობაშია ამ დირექტივასთან და რომელიც განთავსებულ იქნა ბაზარზე 2016 წლის 20 აპრილამდე.

#### მუხლი 26

##### დანერგვა

1. წევრმა სახელმწიფოებმა 2016 წლის 19 აპრილამდე უნდა მიიღონ და გამოაქვეყნონ კანონები, წესები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც აუცილებელია მე-2 მუხლის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლის, მე-6- მე-12 მუხლების, მე-13(1) მუხლის, მე-14-25-ე მუხლების და II, III და IV თავების შესასრულებლად. მათ ამ ზომების თაობაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ კომისიას.

მათ უნდა გამოიყენონ აღნიშნული ზომები 2016 წლის 20 აპრილიდან.

როდესაც წევრი სახელმწიფოები იღებენ ამ ზომებს, ისინი უნდა შეიცავდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან

უნდა ერთვოდეს თან ამგვარი მითითება მათი ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევისათვის. ისინი ასევე უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომ მითითებები არსებულ კანონებზე, წესებსა და ამ დირექტივით გაუქმებული დირექტივის ადმინისტრაციულ დებულებებზე განმარტებულ უნდა იქნას, როგორც მითითება ამ დირექტივაზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ როგორ უნდა გაკეთდეს ამგვარი მითითებები და როგორ უნდა იქნას ასეთი განცხადება ფორმულირებული.

2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა აცნობონ ეროვნული კანონების ძირითადი დებულებების ტექსტი, რომელიც მათ მიიღეს ამ დირექტივის მოქმედების სფეროში.

#### მუხლი 27

##### გაუქმება

დირექტივა 2006/95/EC გაუქმდება 2016 წლის 20 აპრილიდან ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადებთან და დანართში V მოცემული გამოყენების თარიღებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

გაუქმებულ დირექტივაზე მითითებები განმარტებულ უნდა იქნას, როგორც მითითებები ამ დირექტივაზე და წაკითხულ უნდა იქნას დანართში VI მოცემული კორელაციური ცხრილის შესაბამისად.

#### მუხლი 28

##### ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

მუხლი 1, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლი, მე-13(2) და (3) მუხლი და დანართები I, V და VI გამოყენებული იქნება 2016 წლის 20 აპრილიდან.

მუხლი 29  
ადრესატები

ევროპის პარლამენტის საბჭოს სახელით  
სახელით  
პრეზიდენტი  
დ. კურკულასი  
მ. შულცი

წინამდებარე დირექტივა ეხება წევრ სახელმწიფოებს.

შესრულებულია სტრასბურგში, 2014 წლის 26 თებერვალს.

### დანართი I

გარკვეული ძაბვის ფარგლებში გამოსაყენებლად განკუთვნილი ელექტრო მოწყობილობის უსაფრთხოების მიზნების ძირითადი პრინციპები

#### 1. ზოგადი პირობები

- (ა) ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ამოცნობა და დაცვა უზრუნველყოფს, რომ ელექტრო მოწყობილობა გამოყენებული იქნება უსაფრთხოდ და იმ მიზნებისათვის, რისთვისაც იგი შეიქმნა აღნიშნულ დატანილი უნდა იქნას ელექტრო მოწყობილობაზე, ან თუ ეს არ არის შესაძლებელი, თანმხლებ დოკუმენტში;
- (ბ) ელექტრო მოწყობილობა, თანმხლებ ნაწილებთან ერთად, იმგვარად უნდა იყოს დამზადებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოდ და ჯეროვნად აწყობა და შეერთება;
- (გ) ელექტრო მოწყობილობა იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული და დამზადებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული რისკისაგან დაცვა, თუკი მოწყობილობა გამოყენებულია იმ მიზნებისათვის, რისთვისაც იგი შეიქმნა და ადეკვატურადაა შენახული.

#### 2. ელექტრო მოწყობილობებისაგან წარმოშობილი რისკებისაგან დაცვა

ტექნიკური ხასიათის ზომები უნდა დადგინდეს პირველი პუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

- (ა) ადამიანები და შინაური ცხოველები ადეკვატურად არიან დაცულები ფიზიკური ან სხვა ზიანის საშიშროებისაგან, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტით;

- (ბ) არ წარმოიქმნას ისეთი ტემპერატურა, ელექტრონის რკალი ან რადიაცია, რომელიც გამოიწვევს საფრთხეს;
- (გ) ადამიანები, შინაური ცხოველები და საკუთრება ადეკვატურად არიან დაცულნი ელექტრო მოწყობილობების მიერ გამოწვეული არაელექტრო საფრთხეებისგან, რაც გამოცდილებით გამომჟღავნდა;
- (დ) იზოლაცია სათანადოა პროგნოზირებადი პირობებისათვის.
3. იმ რისკებისაგან დაცვა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს გარეშე ფაქტორებისაგან ელექტრო მოწყობილობაზე ტექნიკური ზომები უნდა დადგინდეს პირველი პუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ელექტრო მოწყობილობა:
- (ა) აკმაყოფილებდეს მოსალოდნელ მექანიკურ მოთხოვნებს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანებს, შინაურ ცხოველებსა და საკუთრებას;
- (ბ) რეზისტენტული იყოს არამექანიკური ზემოქმედებისაგან მოსალოდნელ გარემო პირობებში, იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანებს, შინაურ ცხოველებსა და საკუთრებას;
- (გ) საფრთხეს არ უქმნიდეს ადამიანებს, შინაურ ცხოველებსა და საკუთრებას გადატვირთვის პროგნოზირებად პირობებში.

## დანართი II

მოწყობილობა და მოვლენები, რომლებიც სცდება დირექტივის ფარგლებს

ფეთქებად გარემოში გამოსაყენებელი ელექტრო მოწყობილობა

ელექტრო მოწყობილობა რადიოლოგიისა და სამედიცინო მიზნებისათვის

ელექტრო ნაწილები საქონლისა და სამგზავრო ლიფტებისთვის

ელექტროენერჯის მრიცხველები

საშინაო გამოყენებისათვის შტეპსელები და ელექტრო-მასრები

ელექტრო ღობის მაკონტროლებელი

რადიო-ელექტრო ჩარევა

გემებზე, თვითმფრინავებში ან მატარებლებში გამოსაყენებელი სპეციალიზირებული ელექტრო მოწყობილობა, რომელიც შესაბამისობაშია იმ საერთაშორისო ორგანოების მიერ



შემუშავებულ უსაფრთხოების დებულებებთან, რომლებშიც მონაწილეობენ წევრი სახელმწიფოები.

შექმნილი საბაჟოს შეფასების აღჭურვილობა, რომელიც განკუთვნილია პროფესიონალებისათვის მხოლოდ კვლევებისა და განვითარების დაწესებულებაში გამოსაყენებლად ამგვარი მიზნებისათვის.

---

### დანართი III

#### მოდული "ა"

#### შიდა წარმოებისკონტროლი

1. შიდა წარმოების კონტროლი არის შესაბამისობის შეფასების პროცედურა, რამდენადაც მწარმოებელი ასრულებს მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მოცემულ ვალდებულებებს და მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ უზრუნველყოფს და აცხადებს, რომ შესაბამისი ელექტრო მოწყობილობა აკმაყოფილებს ამ დირექტივის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება მასზე.
2. ტექნიკური დოკუმენტაცია

მწარმოებელმა უნდა შექმნას ტექნიკური დოკუმენტაცია. დოკუმენტაციამ შესაძლებელი უნდა გახადოს ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობის შეფასება შესაბამის მოწყობილობებთან და უნდა მოიცავდეს ადეკვატურ ანალიზსა და რისკ(ებ)ის შეფასებას. ტექნიკურმა დოკუმენტაციამ უნდა განსაზღვროს დადგენილი მოთხოვნები და მოიცვას ელექტრო მოწყობილობის დიზაინი, წარმოება და ექსპლუატაცია, რამდენადაც ეს რელევანტური იქნება შეფასებისთვის. ტექნიკური დოკუმენტაცია, საჭროების შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ელემენტებს:

(ა) ელექტრო მოწყობილობის ზოგადი აღწერილობა;

(ბ) კონცეპტუალური დიზაინი და ტექნოლოგიური ნახაზები და კომპონენტების სქემები, ქვეკონსტრუქციები, მიკროსქემები და ა.შ .;

(გ) ელექტრო მოწყობილობის ექსპლუატაციისა და იმ ნახაზებისა და სქემების გაგებისათვის საჭირო აღწერილობები და განმარტებები;

(დ) ჰარმონიზებული სტანდარტების ნუსხა, რომლებიც გამოყენებულ იქნა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომლებზე მითითებები გამოქვეყნებულ იქნა ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში ან მე-13 და მე-14 მუხლებში მითითებული საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტები, და სადაც არ იქნა გამოყენებული ეს ჰარმონიზებული სტანდარტები ან საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტები, ამ დირექტივის უსაფრთხოების მიზნების დასაკმაყოფილებლად მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის, სხვა გამოყენებული შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ნუსხა. ჰარმონიზებული სტანდარტების ან მე-13 და მე-14 მუხლებში მითითებული საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტების ნაწილობრივ გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა დოკუმენტაციამ უნდა დააზუსტოს, თუ რომელი ნაწილები იქნა გამოყენებული;

(ე) განხორციელებული საპროექტო გათვლების, ჩატარებული შემოწმებებისა და ა.შ. შედეგები; და

(ვ) შემოწმების ანგარიში.

### 3. წარმოება

მწარმოებელმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა წარმოების პროცესმა და მისმა მონიტორინგმა უზრუნველყოს დამზადებული ელექტრო მოწყობილობის შესაბამისობა მე-2 პუნქტში მითითებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და ამ დირექტივის იმ მოთხოვნებთან, რომლებიც გამოიყენება მის მიმართ.

### 4. CE მარკირება და ევროპის კავშირის შესაბამისობის დეკლარაცია

4.1. მწარმოებელმა უნდა გაუკეთოს CE მარკირება თითოეულ ელექტრო მოწყობილობას, რომელიც აკმაყოფილებს ამ დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს.

4.2. მწარმოებელმა პროდუქტის მოდელისთვის უნდა შეადგინოს ევროპის კავშირის წერილობითი შესაბამისობის დეკლარაცია და შეინახოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად ეროვნული ბაზრის ზედამხედველობის ორგანოების განკარგულებაში ელექტრო მოწყობილობის ბაზარზე გატანის შემდეგ 10 წლის განმავლობაში. ევროპის კავშირის შესაბამისობის დეკლარაციამ უნდა განსაზღვროს ის ელექტრო მოწყობილობა, რომლისთვისაც იქნა იგი შედგენილი.

ევროპის კავშირის შესაბამისობის დეკლარაციის ასლი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაზრის ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოებისათვის მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

### 5. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მე-4 პუნქტში მოცემული მწარმოებლის ვალდებულებები შეიძლება შესრულდეს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მისი სახელითა და მისი პასუხისმგებლობით, თუკი აღნიშნული გათვალისწინებულია მანდატში.

---

#### დანართი IV

ევროკავშირის დეკლარაცია შესაბამისობის თაობაზე (N XXXX) <sup>(4)</sup>

1. პროდუქტის მოდელი/პროდუქტი (პროდუქტი, ტიპი, სერია ან სერიული ნომერი):
2. მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და მისამართი:
3. წინამდებარე შესაბამისობის დეკლარაცია გაცემულია მხოლოდ მწარმოებლის პასუხისმგებლობის ქვეშ.
4. დეკლარაციის ობიექტი (ელექტრო მოწყობილობის იდენტიფიკაცია, რომელიც იძლევა კონტროლის საშუალებას; ეს შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, შეიცავდეს ელექტრო მოწყობილობის იდენტიფიკაციისათვის საკმარისი სიცხადის ფერად გამოსახულებას):
5. ზემოთ აღწერილი დეკლარაციის ობიექტი შესაბამისობაშია კავშირის შესაბამის ჰარმონიზაციის კანონმდებლობასთან:
6. შესაბამისი გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების მითითება ან სხვა შესაბამისობასთან დაკავშირებული ტექნიკური მახასიათებლების მითითება არის დეკლარირებული:
7. დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერილია ----- სათვის და სახელით:

(გაცემის ადგილი და თარიღი):

(სახელი, ფუნქცია) (ხელმოწერა):

---

#### დანართი V

დირექტივის 2006/95/EC, V დანართის, B ნაწილში მოცემული დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადები და გამოყენების თარიღები

(მითითებულია 27- მუხლში)

---

<sup>(4)</sup> შესაბამისობის დეკლარაციისათვის ნომრის მინიჭება არასავალდებულოა მწარმოებლისთვის

დირექტივა	გადატანის ვადები	გამოყენების თარიღი
73/23/EEC	21 აგვისტო 1974 <sup>(1)</sup>	-
93/68/EEC	1 ივლისი 1994	1 იანვარი 1995 <sup>(2)</sup>

(<sup>1</sup>) დანიის შემთხვევაში ვადა გაიზარდა 5 წლით, ანუ 1978 წლის 21 თებერვლამდე. იხილეთ დირექტივის 73/23/EEC მუხლი მე-13(1)

(<sup>2</sup>) 1997 წლის 1 იანვრამდე წევრ სახელმწიფოებს პროდუქცია, რომელიც შეესაბამებოდა მარკირების პირობებს უნდა დაემვათ ბაზარზე და გაემვათ ექპლუატაციაში

დანართი VI  
კოლერაციული ცხრილი

დირექტივა 2006/95/EC	წინამდებარე დირექტივა
მუხლი 1	1 მუხლის მეორე პუნქტი
მუხლი 2	მუხლი 3
მუხლი 3	მუხლი 4
მუხლი 4	მუხლი 5
მუხლი 5	მუხლი 12
მუხლი 6	მუხლი 13
მუხლი 7	მუხლი 14
მუხლი 8 (1)	მუხლები 16 და 17
მუხლი 8 (2)	-
მუხლი 8 (3)	-
მუხლი 9	მუხლები 18 -20
მუხლი 10	მუხლები 16 და 17
მუხლი 11	-
მუხლი 12	-
მუხლი 13	მუხლი 26 (2)
მუხლი 14	მუხლი 27
მუხლი 15	მუხლი 28
დანართი I	დანართი I
დანართი II	დანართი II
დანართი III	მუხლები 15 და 16 და დანართი IV
დანართი IV	დანართი III
დანართი V	დანართი V

## ევროპის პარლამენტის განცხადება

ევროპის პარლამენტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მაშინ, როცა და იმდენად, რამდენადაც რეგულაციის (EU) N182/2011 მნიშვნელობით განიხილება საიმპლემენტაციო აქტი კომიტეტის სხდომებზე, თუ შეიძლება ეს უკანასკნელი ჩაითვალოს, როგორც „კომიტოლოგიის კომიტეტი“ ევროპის პარლამენტისა და ევროპის კომისიის ურთიერთობის შესახებ ჩარჩო შეთანხმების I დანართის მნიშვნელობით. ამგვარად, კომიტეტის შეხვედრები ხვდება ჩარჩო შეთანხმების მე-15 პუნქტის ფარგლებში, როცა და რამდენადაც სხვა საკითხები არის განხილული.